ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **ნონა ქოზაშვილი**

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - უფრაქციო

კომისი(ებ)ის დასახელება :

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია
- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2024 წლის 01.01 -დან 2024 წლის 10.10- მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2024 წ.-დან 10.10.2024წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა -10
   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 9

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2024წ.

   - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია,** კომისიის სხდომების რაოდენობა - 9 , ესწრებოდა - 9 სხდომას.
   - **საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია,** კომისიის სხდომების რაოდენობა - 3, ესწრებოდა 3 სხდომას

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1) ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს, ქალაქ ახალციხეში სპორტული სკოლის ნაწილის დემონტაჟისა და მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
2) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
3) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (სატვირთო);
4) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“-სთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
5) ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ცვლილებების (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფა)თაობაზე;
6) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (მარილმომყრელი).
7) ახალციხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (სამხედრო აღრიცხვ. სამსახ.);
8) ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდრიაწმინდაში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე;
9) ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების)განთავსების რეგულირების შესახებ;
10) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე-ექსკავატორი;
11) ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 აგვისტოს N18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

6. მოქალაქეებთან შეხვედრები სისტემატიურად მიმდინარეობდა და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა იყო დაახლოებით 10-15 მოსახლემდე ;
მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1) სკოლამდე მისასვლელი გზა;
2) სანიაღვრე არხის მოწყობა;
3) სასაფლაომდე მისასვლელი გზა;
4) მინი სტადიონის მოწყობა.

შევსების თარიღი: 04.10.2024 წ.

წარდგენის თარიღი: 30.10.24.

ხელის მოწერა: ნ.